

კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება
ბრ. რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტში!



ბედნიერი ვიქნებოდით ისეთივე მამა
ვიყო, როგორიც რეჟისორი ვარ

საქართველოში ამჟამად 60-მდე უმაღლესი საგან-
მანათლებლო დაწესებულებაა, რომლებიც თავიდან, ასე ვთქვათ,
კომერციულ სასწავლებლად მოიაზრებოდნენ. მაგრამ ისინი
დღეს კერძო უმაღლეს სასწავლებლებს წარმოადგენენ. დღეს
დამკვიდრებულ კონკურენციულ ვარემოს სწორედ ისეთი
უმაღლესი საგანმანათლებლო კერა გაუძღვება, რომელიც
საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნას პასუხობს. დღეს-
დღეობით არსებობენ ერთეული უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ნამდვილად
ამართლებენ მათზე დაკისრებულ მისიას. მათ შორისაა გრ. რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი (ალმა მატერი). უნივერსიტეტი დაარსდა 1992 წელს. მიუხედავად იმისა,
რომ 11 წლის ისტორია აქვს, ავტორიტეტულ და წარმატებულ სასწავლებლად ჩამოყალიბდა.
მან უკვე დაიმკვიდრა სოლიდური ადგილი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში.
2001 წლის იუნესკოს განათლების დავკვირების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მონაცემებით
იგი კერძო უნივერსიტეტებს შორის პირველ ხუთეულშია. მისი წარმატება ლოგიკური
შედეგია იმ დაუღალავი შრომისა, რასაც იქ შეკრებილი პროფესორ-მასწავლებლები და
უნივერსიტეტის ხელმძღვანელი – ბატონი მამუკა ოსაძე უწევენ. იგი მართლაც
ღირსეულად უძღვება ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს. ბატონ მამუკას უნივერსიტეტში
შეხვდით. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- რა ვზა გაიარეთ დღემდე?
- დავიბადე თბილისში 1954 წელს. დავამთავრე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. პედაგო-
გიური განათლება ძალიან დამეხმარა
უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში. სასწავლო სისტემის შექმნას ვინ
შეძლებს უკეთესად თუ არა პედა-
გოგიური განათლების მქონე პიროვნე-
ბი. შემდეგ ვმუშაობდი კომპიუტერულ
სამუშაოზე, რაც ორგანიზაციული
ჩვევების ჩამოყალიბებაში დამეხმარა.
ვიყავი განათლების მინისტრის თანა-
შემწე, პუშკინის ინსტიტუტის რექ-
ტორის თანაშემწე, ინსტიტუტის დო-
ცენტი. ვარ ღირსების ორდენის კავა-
ლერი. გრ. რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი,
საქართველოს კერძო სასწავლებელთა
ფედერაციის პრეზიდენტი, აშშ სტომა-
ტოლოგთა საერთაშორისო აკადემიის
სამატიო წევრი, ტასისის პროგრამების
ხარისხის მართვის კომიტეტის თავმ-
ჯდომარე.
- როდის მოგივიდათ უნივერ-
სიტეტის დაარსების იდეა?
- 1992 წელს დაარსდა უნივერ-
სიტეტი. დაარსებამდე რამდენიმე წელი
ვფიქრობდი ამ იდეაზე. რადგან ვხე-
დავდი, რომ სწავლის ის სისტემა,
რომელიც იმ პერიოდში იყო, სრულიად
მიუღებელი და არაეფექტური გამოდგა.
- რაც ვქონდათ ჩაფიქრებული
თუ შეძელით იმის განხორციე-
ლება?
- დიას, რა თქმა უნდა. გვეყავს ნი-
ჭიერი და მონდომებული სტუდენტები.
პროფესიონალი პროფესორ-მასწავლებ-

ლები, თანამედროვე მატერიალურ-
ტექნიკური ბაზა, რომლის ანალოგი
საქართველოში არ არსებობს, რაც აძ-
ლევს სტუდენტებს საშუალებას მაღალ
ღონეზე დაუფლონ მათ მიერ არჩეულ
პროფესიას. ჩვენი უნივერსიტეტი ერთ-
ერთი პირველია, რომელიც სრული
მასშტაბებით გადავიდა ევროსტან-
დარტებზე. რაშიც ტემუს-ტასის პრო-
ექტი დავგეხმარა.

- დღეს საზოგადოებაში ვაე-
რცელებულია აზრი, რომ კერძო
უმაღლესი სასწავლებლები ვერ
აკმაყოფილებენ მათზე დაკისრე-
ბულ მოთხოვნებს, ძალიან მომ-
რავლდა, რა საჭიროა ამდენი და
ა.შ...

- ამაში ვერ დავეთანხმებით. თავი-
დან ბევრი გაიხსნა, მაგრამ მაღევე
დაიხურა, რადგან უმაღლესი სასწავ-
ლებლის ფეხზე დაყენება და მართვა
ურთულესი პროცესია, რაც ბევრმა ვერ
შეძლო. საქართველოში ამჟამად 60-
მდე სასწავლებელია. საბაზრო ეკო-
ნომიკის პირობებში ვერაგინ იტყვის
რამდენად ოპტიმალურია ეს ციფრი.
თუმცა შესაძლებელი იყო ნაკლებიც
ყოფილიყო. მეორე საკითხია რამდენად
აკმაყოფილებენ ეს სასწავლებლები
მათზე დაკისრებულ მოთხოვნებს. თუ
გულახდილი ვიქნებით არც სახელ-
მწიფო უმაღლესი სასწავლებლები
ბრწყინავენ თავიანთი შედეგებით.
პირიქით, არის თითო-ორთა კერძო
უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც
გადაუსწრო კიდევ სახელმწიფო
უმაღლეს სკოლას. თუმცა იქაც არის
ცადკეული კათედრები, ფაკულტეტები,

რომლებიც მართლაც კარგად მუშაობენ. ასე რომ, კარგი და ცუდი ორივე მხარეს არის.

- თქვენი უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია სხვა სასწავლებლებს შორის. რა არის ასეთი წარმატების მიზეზი?

- უნდა გიყვარდეს და იცოდე შენი საქმე. უანგაროდ აკეთო ის და შედეგს აუცილებლად გამოიღებს. ჩვენ შეგქმელი პროფესორ-მასწავლებელთა ისეთი გუნდის შექმნა, რომლებიც კონპეტენტურნი არიან თავის საქმეში, მართლაც მთელი არსებით მუშაობენ. ჩვენი პედაგოგები აქტიურად არიან ჩაბმული უწყვეტ პროფესიული განვითარების პროცესში, ეუფლებიან ახალ ევროპულ სისტემებს, ტექნოლოგიებს, მეთოდებს. ამაში ჩვენ ვუწყობთ ხელს. ჩვენთან არის შექმნილი სპეციალური ცენტრი, რომელიც ამ პროცესს არეგულირებს. დღეისათვის ჩვენ გვაქვს ფართო ხასიათის კონტაქტები დასავლეთის უნივერსიტეტებთან. გვყავს პარტნიორები ლუნდის (შვედეთი), ნოტინგემის (დიდი ბრიტანეთი), ჰარვარდის და ჯორჯთაის (აშშ), პრადის (ჩეხეთი), ჩარლზის ამერიკულ უნივერსიტეტებთან. ჩვენს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ამ უნივერსიტეტებში ისწავლონ. უნივერსიტეტი ზრუნავს აგრეთვე ეურსდამთავრებულთა შემდგომ ბედზე. ეძებს მათთვის სამუშაო ადგილებს.

- თქვენ ახალგაზრდებთან, სტუდენტებთან ვაქვთ ურთიერთობა. როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა თქვენი თაობისა და დღევანდელი ახალგაზრდობის მისწრაფებებს შორის?

- ახალგაზრდობა ყოველთვის ახალგაზრდობაა. ყველა თაობის ახალგაზრდებს ახალი მისწრაფებები, ახალი იდეები აქვთ, რადგან იცვლება დრო და იცვლება ადამიანთა დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. ჩვენს მიმართ უფროსი თაობა ყოველთვის საყვედურებს გამოთქვამდა. მე ჩემი სტუდენტების მიმართ საყვედური არ მეთქმის. ისინი მოაზროვნე და შემოქმედი ახალგაზრდები არიან. ბევრ რამეს ვსწავლობ მათგან. თუმცა ზოჯგერ ზარმაცობენ. საერთოდ კი ნიჭიერი და საკმაოდ გონებაგახსნილი ახალგაზრდობა მოდის.

- დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობა დაშორდა წიგნს...

- ამის მიზეზი ის არის, რომ დღეს საზოგადოებრივ ასპარეზზე თავს იწონებენ ის ადამიანები, ვისთვისაც წიგნი არასდროს ყოფილა მთავარი. ახალგაზრდობაც მათ უყურებს და ხედავს, რომ წარმატებისა და პოპუ-

ლარობის მისაღწევად, სულაც არა საჭირო ტვინის ჭყვლეტა. როდესაც თითქმის მთელი საზოგადოება ყალბი ფასულობებით ცხოვრობს, წიგნიერება კარგავს თავის ძირითად აზრს. არსებობს მეორე პრობლემაც, რამაც ახალგაზრდობა დააშორა წიგნს. მოხდა ელექტრონული წიგნით ჩანაცვლება. ჩვენთან უნივერსიტეტში ჩართულია ინტერნეტი, ელექტრონული ბიბლიოთეკა, კომპიუტერული სწავლება, რასაც ინტერესით იყენებენ ახალგაზრდები.

- თქვენი მიდგომა ახალგაზრდების მიმართ როგორია, როგორი რექტორის სახელი ვაქვთ?

- ეს ალბათ მათ უნდა ვკითხოთ. მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა: ბედნიერი ვიქნებოდი ისეთივე მამა ვიყო, როგორც რექტორი ვარ, რადგან 1200-ზე



მამუკა თავხელიძეს პრეზიდენტი აჯილდოებს ღირსების ორდენით

მეტი ახალგაზრდა სწავლობს ჩვენთან და მე ყველა სტუდენტი ვიცი რით სუნთქავს, რა აინტერესებს, რა მისწრაფებები გააჩნია. ამას სიტყვის მასალად არ ვამბობ, ეს ნამდვილად ასეა. მე ვფიქრობ, რომ ჩემი სტუდენტები პატივს მცემენ, ანგარიშს მიწვევენ. მეც ასევე ვარ განწყობილი მათ მიმართ. ანგარიშს ვუწვევ მათ აზრებს. ჩემთვის ისეთივე წონიანია მათი სიტყვა, როგორც კოლეგის.

- დღეს რექტორებზე არაერთგვაროვანი აზრია შექმნილი საზოგადოებაში. რამ გამოიწვია ეს?

- თქვენ მხედველობაში ვაქვთ კორუფცია. ამის ცალსახად შეფასება არ შეიძლება. ამაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს. ამ სფეროშიც რომ შემოაღწია ეს არის მომაკეცილებელი. მხოლოდ რექტორების დადანაშაულება არ იქნებოდა სწორი, გასათვალისწინებელია დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაც. პედაგოგი სოციალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მან მთელი თავისი მოწოდება, სულიერი ენერჯია და ფიზიკური ძალები მიმართოს სტუდენტებისაკენ. თუ ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება ეს პრობლემაც აღარ დად-

გება ამ სფეროში.

- თქვენ გვერდით არის თქვენი მეუღლეც - ქალბატონი ეკა, რას იტყვით მასზე?

- თავიდანვე მინდოდა შემექმნა მოქნილი გუნდი, რომელიც უნივერსიტეტის მართვაში დამეხმარებოდა. ჩემი მეუღლეც ისეთივე თანამონაწილეა ამ საქმეში, როგორც სხვა თანამშრომლები. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს. თუ ოჯახში მშვიდი გარემოა და თანადგომას ვგრძნობ, მაშინ სამსახურშიც მეტი წარმატება ვაქვს. ამ შემთხვევაში ძალიან გამიმართლა.

- ქართველი ქალის იდეალს ვინ წარმოადგენდა თქვენთვის?

- ჩემთვის ქართველი ქალის იდეალი დედით განისაზღვრებოდა. დედა - თამარ ციხისელი - რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი იყო. რაც კი კეთილი და კარგია ჩემში მისგან მაქვს. მან დიდი როლი ითამაშა ჩემს აღზრდასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

- ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღიზარდეთ, რამდენად ტრადიციული ხართ?

- მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ქართულ ტრადიციებს. მაგრამ უნდა შესძლო, განსაკუთრებით მაშინ, თუ რექტორი ხარ თანამედროვეობასაც აუღო ადლო.

- რა ვადაარჩენს საქართველოს?

- პროფესიონალიზმი. პროფესიონალიზმის პრობლემა ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამ საკითხის მოგვარება ბევრ სხვა პრობლემასაც მოაგვარებს. ის სახელმწიფო, რომელიც პრიორიტეტს არ ანიჭებს განათლებას, განწირულია დასავლუპავად.

- თქვენი ცხოვრების პრინციპი?

- რაც არ უნდა მწარე სინამდვილე იყოს, ცვდილობ გულწრფელი ვიყო ყოველთვის.

- რას ეტყობით ახალგაზრდობას, რომლებსაც ამ რთულ პერიოდში მოუწიათ ცხოვრება?

- სწორედ ის არის ვაჟკაცობა, ამ მძიმე პერიოდს გაართვა თავი. როცა ყველაფრით უზრუნველყოფილი ხარ, ცხოვრება ადვილია. ახალგაზრდებს ეეტყობი, რომ სწორი ნაბიჯი გადადგან უმაღლესი სასწავლებლის შერჩევის დროს. დღეს მათ ცოდნის შეძენის, ნიჭის რეალიზაციის დიდი შესაძლებლობები აქვთ. ყველაზე დიდი კაპიტალი რაც შეიძლება ჩადოს მშობელმა თავისი შვილისათვის, ეს არის განათლებაში ჩადებული კაპიტალი. კაპიტალი, რომელიც არასოდეს დაკარგული არ არის.